პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2024 წლის _ _ აგვისტო

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს ანგარიში 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2024 წლის I-II გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

კომისიის თავმჯდომარე — შალვა კილაძე

წყალტუბოს ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''

ქ.წყალტუბო, 9 აპრილის ქუჩა, 1-ლი შესახვ.№2 ტელ. 577957111 ს/კ421271206

38-33-2-202408131420

N 33/38

13/08/2024

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს

ბ/ნ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო გენადი,

ა(ა) იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ დირექცია გიგზავნით ანგარიშს 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

დანართი თან ერთვის.

პატივისცემით,

ნინო ნემსწვერიძე

დირექტორი

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

ა ნ გ ა რ ი შ ი

ა(ა) იპ "ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის" მიერ 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალ
გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა) იპ "ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი" დაარსდა 2015 წელს. ცენტრი სრულ
ფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

ა(ა) იპ "ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის" ხარჯთაღრიცხვა 2024 წლის პირველ და მეო
კვარტალში შეადგენს 252000 ლარს, ათვისებულია 110569,78 ლარი,

ცენტრი ახორციელებს შშმ პირთა ზრუნვის პროგრამას. ჯანდაცვის სამინისტრ
დადგენილების რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამას, ინტეგრაციას, ინკლუზიუ
განათლებას.

ცენტრში ირიცხება წყალტუბოში და წყალტუბოდან 20 კმ -ის რადიუსში მცხოვრე
ბენეფიციარები. ბენეფიციარებს ემსახურება ცენტრის კუთვნილი მიკროავტობუსი.

ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან ორჯერადი კვებით. ორივე კვება ს
კომპონენტიანია. ხორცის და თევზის პროდუქტების შემოტანა ხდება კვირაში 5-ჯე
ყოველდღიურად.

თითოეულ ბავშვზე გათვლილია კალორაჟი. მიღებული საკვების ნიმუშები 24 საათი
განმავლობაში ინახება მაცივარში (უსაფრთხოების თვალსაზრისით).

ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, მუსიკალური ინსტრუმენტით
კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორით, ლამინირების აპარატით.რომლის საშუალებითა
ხდება ბენეფიციარების ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში. ცენტრში ფუნქციონირებ
ვიდეოთვალი.

ა(ა) იპ "ბავშვთა ინკლუზიური ცენტრში "2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში
ირიცხებოდა 16 ბენეფიციარი, შემდეგი დაავადებებით:

1. დაუნის სინდრომი
2. აუტისტური სპექტრი
3. ცერებრალური დამბლა
4. გონებრივი შეზღუდვა

ცენტრში დასაქმებულია 19 (18 შტატით და 1 შტატგარეშე) ადამიანი.

2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში "ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრში" ჩატარდა
შემდეგი ღონისძიებები:

1. 3 მარტი - დედის დღე. ბავშვებმა თავისი ხელით შექმნილი საჩუქრებით მიულოცეს
დედებს დედის დღე.
2. 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე. ბენეფიციარებმა სიმღერებით და ლექსებით
მიულოცეს პედაგოგებს ქალთა საერთაშორისო დღე.
3. 21 მარტი- დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე.

4. 2 აპრილი - ავღნიშნეთ აუტიზმის საერთაშორისო დღე. ბენეფიციარებს საჩუქრები გადასცა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ. ეზოში დაირგო ხეები და ბუჩქები.

5. 9 აპრილი- მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

6. 5 მაისი - სააღდგომო ღონისძიება გაიმართა და თითოეულ ბენეფიციარს სააღდგომო ნობათები დაურიგდა.

7. 17 მაისი ოჯახის სიწმინდის დღე. ბენეფიციარებმა ლექსებითა და სიმღერებით აღნიშნეს ეს დღე. გვქონდა ტექსტი-საუბარი ოჯახის სიწმინდის მნიშვნელობაზე.

8.26 მაისი - დამოუკიდებლობის დღე პატრიოტული ლექსებითა და სიმღერებით აღინიშნა.

9.1 ივნისი- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა აქტივობებში.

10. ვიმყოფებოდით წყალტუბოს თოჯინების თეატრში. ასევე ვესწრებოდით წყალტუბოში მიმდინარე ყველა კულტურულ ღონისძიებებს.

12.ქალაქის პარკში გასეირნება.

13.ცენტრს სტუმრობდა კომანია "ბარამბოს" წარმომადგენლები, რომლებმაც საჩუქრები გადასცეს (ტკბილეულის ნაკრები) თითოეულ ბენეფიციარს.

"ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრის" თანამშრომელთა რაოდენობა არის 19.
ქალი 12
კაცი 7

მოსარგებლე (ბენეფიციარები) – 16.
ქალი 5
კაცი 11.

დირექტორი ნინო ნემსწვერიძე